პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
8 სექტემბერი
1939 წ.
№ 206 (5606)
ფასი 10 კაპ.

სტალინური ახალგაზრდობის დღესასწაული

მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში

საბჭოთა უმაღლეს სკოლაში 600 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი სახელმწიფო მოღვაწეობის ფართო გზაზე გამოვლენ, ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაკები, წარმოების მეთაურები, ინჟინრები, მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მეცნიერები გახდებიან. უინტელიგენციოდ, კვალიფიციურ მეთაურთა შემადგენლობის უყოლოდ იოლად ვერ წავა ვერც ერთი სახელმწიფო, მით უმეტეს ისეთი მძლავრი, თვალუწვდენი სახელმწიფო, როგორიც არის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო.

იმისათვის, რომ თვითეულ საბჭოთა ინტელიგენტს შეეძლოს თამამად და მტკიცე რწმენით გადასწყვიტოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყოველდღიური რთული ამოცანები, ჩვენი ინტელიგენცია უნდა **აღჭურვოთ** მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით,—იმ თეორიის ცოდნით, რომელიც იძლევა რწმენას მუშაობაში, ორიენტირების ძალას, მომხდარ მოვლენათა შინაგანი კავშირის შეუცდომელ გაგებას, განვითარების ტენდენციათა წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას. ჩვენ უმაღლეს სკოლაში უნდა აღვზარდოთ მუშაკები, რომელთაც შეეძლებათ გაატარონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები, ინიციატივურად, შემოქმედებითად გამოიყენონ ისინი მუშაობის დროს.

გასულ სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებელში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლება მიმდინარეობდა ახალი პროგრამით. შესანიშნავი სახელმძღვანელოთი, როგორიც არის სტალინური „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". პარტიული პროპაგანდის გარდაქმნის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მძლავრ გაქანებას. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დარგში მეტი გაკეთდა, ვიდრე რომელსამე წინა წელს.

გასული სასწავლო წლის ერთერთი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლეს სკოლაში გამოკრისტალდა, ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროფესიონალ-პროპაგანდისტთა კვალიფიციური კოლექტივი. პარტიის მიერ აქ შერჩეულ იქნა საუკეთესო ძალები, საუკეთესო პარტიული პროპაგანდისტები. ერთი წლის მუშაობის განმავლობაში მათ თვალსაჩინოდ ამაღლეს თავიანთი თეორიული და პოლიტიკური მომზადება. წინათ ისინი ერთერთი რომელიმე დისციპლინის — პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიამატის, ლენინიზმის მასწავლებლები იყვნენ. ამჟამად კი წარმატებით ახდენენ თავიანთი ცალმხრივობის ლიკვიდაციას. პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის წინანდელი მასწავლებლები, კითხულობდნენ რა ლექციებს, უძღვებოდნენ რა „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების" კურსის სემინარებს, პირდაპირ ხელახლა სწავლობდნენ, ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელს მწყობრსა და ღრმა სისტემას.

უმაღლეს სკოლაში „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების" კურსის შემოღებამ სტუდენტობის მთელი მასის უდიდესი ინტერესი გამოიწვია მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. სწავლების პროცესში ფართოდ გაიშალა პოლიტიკური აქტივობა სტუდენტებისაც და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისაც.

რა მოთხოვნები უნდა წარედგინოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მასწავლებელს, პროპაგანდისტს? ჯერ-ერთი, პარტიულობა, ღრმა პრინციპული პოლიტიკური დაყენება, გამახვილებულობა საკითხებისა. მეორე, პარტიის ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების ყოველმხრივი, ღრმა გაშუქება, მათი თეორიული გააზრება და განზოგადება. მესამე, სწავლების სიმარტივე, მისაწვდომობა.

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების" ჯერ კიდევ ყველა პროფესორი და მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

გასული წლის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ჯერ კიდევ არიან მასწავლებლები, რომლებიც ლექციებს უსიცოცხლოდ, მოსაწყენად კითხულობენ. ლექციის წაკითხვას ისინი ზოგჯერ სცვლიან სახელმძღვანელოს შინაარსის ცუდად გადაცემით ან განმარტებითი კითხვით. ლექციებში ადგილი აქვს არაზუსტ, დაუდევარ ფორმულირებებს, ვულგარიზაციას, საკითხის გაუბრალოებას. მასწავლებლები ყოველთვის ვერ ახერხებენ ზუსტად გააწაწილონ დრო, რომელიც დათმობილი აქვს ცალკეული თავების შესწავლას, რის შედეგადაც დიდხანს ჩერდებოდნენ ოქტომბრისწინა პერიოდზე და ვერ ასწრებდნენ ესწავლებინათ ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრის შემდგომი პერიოდი, რომელიც უაღრესად მდიდარია შინაარსით. ნაკლებად იყენებენ ლექტორები მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო ამ ლიტერატურაში ხომ შესაძლებელია უმდიდრესი საილუსტრაციო მასალა მოიძებნოს.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში მასწავლებელს, როცა იგი ლექციის დროს ეხებოდა ახალ იდეათა გარდამქნელ ძალას, მაგალითად მოჰყავდა პეტრარკა, რაბლე, კოპერნიკი, გალილეი, მაგრამ არცერთი სიტყვა არ დაუძრავს იმაზე, თუ რა მაორგანიზებელი, დამრაზმველი და გარდამქმნელი ძალა ჰქონდათ ბოლშევიზმის იდეებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ზოგიერთი მასწავლებელი ლექციის კურსში აცხადებდა, რომ ის „სპეციალისტი არ არის" ფილოსოფიის დარგში და მოკლე კურსის მეოთხე თავში განხილული საკითხების წაკითხვას სპეციალურ ლექტორებს უთმობდა. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ასეთი პრაქტიკა ცხადყოფს მასწავლებლის უმწეობას თეორიაში, სცემს მის ავტორიტეტს აუდიტორიის წინაშე.

მრავალი მასწავლებლის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საბუნებისმეტყველო მეცნიერებას არ იცნობენ. კიევის სამედიცინო ინსტიტუტში მასწავლებელს ამბ. ფედორენკოს უნდოდა თავისი ლექცია დიალექტიკის შესახებ ბუნებისმეტყველებიდან აღებული მაგალითებით დაესაბუთებინა, მაგრამ საგნის უცოდინარობის გამო, დაიბნა. ლექციას კი იგი უკითხავდა მეხუთე კურსის მედიკოსს სტუდენტებს, რომლებმაც, რასაკვირველია, ეს საკითხი იცოდნენ. ცხადია, რომ ლექტორს ნამდვილი სირცხვილი დაემართა.

ბევრმა მასწავლებელმა დასკვნა ვერ გამოიტანა ც. კ-ის შარშანდელი დადგენილების იმ მუხლიდან პროპაგანდის შესახებ, რომლითაც დაგმობილია შიში მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების გაბედული დაყენებისა და დამუშავების წინაშე. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრათა მასწავლებლები, ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ იმისათვის, რომ თეორიულად განაზოგადონ და გაიაზრონ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილება, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა გამოცდილება.

ცოტანი გვყვანან ისეთი მასწავლებლები, რომელთაც კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ, კიდევ უფრო ნაკლები გვყვანან დოქტორის ხარისხის მქონე მასწავლებლები. უმაღლესი სკოლის მასწავლებლებმა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უნდა შეასრულონ, რომ დაიცვან დისერტაციები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დადგა ახალი სასწავლო წელი. მასწავლებელთა პერსონალმა შარშანდელი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე გაბედულად უნდა დაძლიოს ნაკლოვანებანი, აამაღლოს სწავლების ხარისხი, მას უნდა ახოვდეს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მას აკისრია ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური აღზრდისათვის.

ჩვენი პროპაგანდისტი — ლექტორი გადასცემს არა ცივ დებულებებს, არამედ ამაღელვებელ საკითხებს ბოლშევიზმის ისტორიისას, ჩვენი ბრძოლისა და ჩვენი გამარჯვებების ისტორიისას. პროპაგანდისტულ მუშაობაში მან მებრძოლ - ბოლშევიკის მთელი მგზნებარება უნდა ჩააქსოვოს. ლექციის მომზადებას, ენას, მასალის აგების სისტემატურობას, კარგად მოფიქრებულ გეგმას — ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლექციის ადვილ-მისაწვდომობაში.

ლექციები აგებული უნდა იქნას მსმენელთა ცოდნის დონისა და სულიერი მოთხოვნილების გათვალისწინებით. საჭიროა გამოყენებულ იქნას იმ უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობასთან დაკავშირებული მაგალითები, სადაც პროპაგანდისტი ლექციებს კითხულობს. ამისათვის კი ტექნიკური, სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი უნდა იცნობდეს ამ მეცნიერებებს, უნდა იცოდეს მათი ისტორია, რათა ჯარგად და მოხერხებულად მოიყვანოს მაგალითები.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდისტი დაუღალავად უნდა ამაღლებდეს თავისი მუშაობის ხარისხს, ბევრს და შეუპოვრად უნდა შრომობდეს თავისი თეორიული შეიარაღებულობის, თავისი მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ მუშაობისათვის პროპაგანდისტს ყველა პირობა უნდა შეეუქმნათ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებლები ახალ სასწავლო წელს მთელი სიმძლავრით მუშაობდნენ, თავიანთ ცოდნას იმაღლებდნენ, თეორიულ პრობლემებს ამუშავებდნენ, გაბედულად აყენებდნენ საკითხებს, წინ სწევდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახალ სასწავლო წელს მათ აამაღლონ სწავლების ხარისხი—ლექციების, სემინარების ხარისხი, რომ მათ ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას თეორიული საკითხებზე დამოუკიდებელი მუშაობა ასწავლონ, დაარწმუნონ იგი, რომ მას მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად ათვისების უნარი შესწევს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლეს სკოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლების საქმეში, ცოცხალი შემოქმედებითი აზრი სჩქეფდეს, ფართოდ გაიშალოს თეორიული საკითხების ამხანაგური განხილვა, რომელშიც უნდა გამოიჭედოს ურთულეს პრობლემათა სრული გაგება, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე თეორიის ბოლომდე ათვისება.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები უნდა გადაიქცნენ ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული კადრების ნამდვილ სამჭედლოდ, იმ კადრების სამჭედლოდ, რომელთაც ეკნებათ უნარი—გაერკვიონ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ეკნებათ უნარი—გადასწყვიტონ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობის ურთულესი საკითხები.

„პრავდის" მოწინავე, 7/IX.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაავალა იმ პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, სადაც საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და რაიონული კომიტეტების არჩევნები დამთავრდა, ჩაატარონ სექტემბერში კლუბებისა და კულტურის სასახლეების გამგეობათა ანგარიში და არჩევნები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ, რომ ანგარიში და არჩევნები ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდეს, გამგეობებში არჩეულ იქნან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ძირფესვიანად გააუმჯობესონ საკლუბო მუშაობა. პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭო წინადადებას იძლევა ანგარიშისა და არჩევნების ჩატარების დროს სასტიკად იხელმძღვანელონ 1939 წლის 30 ივნისს დამტკიცებული „პროფკავშირული კლუბების დებულებებით".

(საკდესი).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე თბილისში

მძლეთა-მძლე, ჯანმაგარი, მხნე და ხალისიანი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდებით აივსო ქუჩები. ალისფერი დროშებით, მუსიკითა და რევოლუციური ლოზუნგებით გამოვიდნენ ისინი 6 სექტემბერს თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში.

— გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის ბრძენურ საგარეო პოლიტიკას!—გადასძახა 6 სექტემბერს თავისუფალი ქვეყნის ბედნიერმა ახალგაზრდობამ, მთელს მსოფლიოს.

— სალამი კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციურ ახალგაზრდობას, გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ასე დარაზმული, ასე შემჭიდროვებული, ასე ძლიერი და ერთსულოვანი, როგორც საბჭოთა ხალხი, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობა, ჯერ არ ყოფილა მსოფლიოში არცერთი ხალხი, არცერთი ქვეყნის ახალგაზრდობა.

6 სექტემბერს საბჭოთა ახალგაზრდობამ მოახდინა თავისი დარაზმულობის, ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ირგვლივ თავისი რიგთა შემჭიდროვების, უძლეველობისა და ერთსულოვნობის, საერთაშორისო რევოლუციურ ახალგაზრდობასთან თავისი სოლიდარობის დემონსტრაცია.

იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს თბილისი. 100.000-ზე მეტმა ახალგაზრდობამ ჩვეულის სიხალისითა და ზეიმით აღნიშნა ახალგაზრდობის ოცდამეხუთე საერთაშორისო დღე.

დედაქალაქი საზეიმოდ იყო მორთული. დროშებითა და გირლანდებით მოკაზმულ ქუჩებს მოეფინენ ახალგაზრდათა კოლონები სადღეისო რევოლუციური ლოზუნგებით, ბელადისა, მასწავლებლისა და მამის—დიდი **სტალინის** პორტრეტებით, მის თანამებრძოლთა პორტრეტებით, დროშებით, ორკესტრებით, საკუთარ გამარჯვებათა მაჩვენებლებით.

ბერიას სახელობის მოედანს ირგვლივ ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** თანამებრძოლთა მხატვრული პორტრეტები ამშვენებენ, მრავალსართულიანი შენობების გამწვდენ წითელ არშიებზე წარწერებია:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ძმურ კავშირს!

— გაუმარჯოს თავისუფალ, უძლეველ და მძლავრ საბჭოთა ხალხს!

თბილისის საბჭოს შენობის ფრონტონზე ალისფერ აბრეშუმზე ამოქარგულია მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის გულისნადები:

— **მხურვალე სალამი დიდ სტალინს საბჭოთა ახალგაზრდობისაგან!**

მოედანიც საგულდაგულო დანიშნულებისათვისაა მორთული: აღმართულია ორი დიდი მაკეტი. მაკეტები საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას წარმოადგენენ: თოვლით დაფარული მთაგრეხილების ქვემოთ ულამაზესი ტყეები სჩანან. კიდევ ქვემოთ ციტრუსოვანთა ბაღნარებია. მაკეტების წინ მოედანზე პალმების ხეივანია და იქვე 250-მდე რჩეული ფიზკულტურელია გამწკრივებული. ეს ისინი არიან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 18 ივლისს მოსკოვს გამართულ ფიზკულტურელთა საკავშირო პარადში.

დილის 10 საათისათვის მოედანზე, გრანიტისა და მარმარილოს ტრიბუნაზე გამოჩნდნენ — ამხ. **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, მ. ჯაში, ა. თოფურიძე, ი. თავაძე, ს. ხოშტარია, ს. იშხანოვი, ე. ჩერქეზია, ი. კოჭლამაზაშვილი, ა. კვაჭაძე, ა. მირცხულავა, თ. ბირკაძე, ვ. სალაძე, ა. ჯორბენაძე, ა. წიკლაური, ი. წიკლაური, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. კიკნაძე, ა. მაშაშვილი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ე. სოხაძე, მ. ქერქაძე, ა. ჭელიძე, ბ. ჯვარიშვილი, შ. დგებუაძე, გ. ცქიტიშვილი, ე. ჩოფიკაშვილი** და სხვები—კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მსახიობები, მწერლები, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები.

ხალხით აივსო მოედნის ირგვლივ ქვაფენილებიც.

დემონსტრაციის დაწყებამდე ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილეებმა გაიმეორეს ის პროგრამა, რომელიც მათ შეასრულეს პარადზე 18 ივლისს. შესანიშნავი, ზღაპრულად ლამაზი და მშვენიერი სანახაობა იყო. დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა ეს სანახაობა, ბოლოს ფიზკულტურელებმა დააგუგუნეს შესანიშნავი სიმღერა ბელადზე და დასტოვეს მოედანი. ათასობით თავმოყრილმა ხალხმა ისინი გააცილა ტაშითა და შეძახილებით:

— გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელებს!

კომინტერნის ჭუჩიდან ამ დროს მოედანს უახლოვდებოდნენ ახალგაზრდა დემონსტრანტთა კოლონები.

დემონსტრანტებს წინ მოუძღოდნენ ლენინის რაიონის ახალგაზრდათა კოლონები.

საბავშვო რკინიგზის, საბავშვო ტექნიკური სადგურის „მუშაკები", ნორჩი პიონერები, ნორჩი კონსტრუქტორები, ავიამოდელისტები, მოწაფეები და ნატურალისტები ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ ტრიბუნის წინ. ჩვენი ქარხნების ახალგაზრდები, მწყობრად, ნაბიჯშეწყობილად მოდიოდნენ ფოლადისებური რიგებით და ახალ საწარმოო გამარჯვებათა მაჩვენებლებით. დაუსრულებელ წყებად მიედინებოდა მოედანზე დემონსტრანტთა უწყვეტი ნაკადი. ლენინის რაიონის შემდეგ მოედანზე შემოვიდნენ სტალინის რაიონის ახალგაზრდები, შემდეგ მოდიოდნენ მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, 26 კომისრის და კიროვის რაიონის ახალგაზრდათა კოლონები.

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

— გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას.

— ჩვენი სალამი საქართველოს საამაყო შვილს, მტკიცე სტალინელს —ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

გაისმოდა ტრიბუნიდან მისალმებათა შეძახილები და დემონსტრანტთა საპასუხო „ვაშა" ჰფარავდა ორკესტრთა გუგუნს.

ათასნაირი მაკეტებით, ემბლემებით და პლაკატებით, რევოლუციური ლოზუნგებით და დიდი სტალინის სახელით მოდიოდა დემონსტრაციაზე გამარჯვებული ქვეყნის გამარჯვებული ახალგაზრდობა.

ნაშუადღევის ორი საათი იყო დაწყებული, როცა დამთავრდა თბილისის ახალგაზრდობის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

მტკიცედ, თავიანთი საკუთარი ძალების შეგნებით მწყობრად მოდიან საბჭოთა ახალგაზრდა სტრიმები, დიადი სოციალისტური ქვეყნის მოქალაქენი, თანაუთანად სტალინური კონსტიტუციით უზრუნველჰყო შრომის, დასვენებისა და განათლების ურყევი უფლებები.

მოდიან სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისარის 1-ლი ქარხნის, ქარხანა „სერპ ი მოლოტის", „კაუჩუკისა" და „გეოდეზიის", ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ფაბრიკის, ფაბრიკა „პარიზის კომუნის", ფრუნზეს სახელობის და კალინინის სახელობის ფაბრიკების, ფაბრიკა „კრასნაია როზა"-ს მუშები, მუშა ქალები და მოსამსახურენი, მეტროს მშენებლები, რკინიგზელები, საბჭოების სასახლის მშენებლები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტები, მოწაფეები...

დემონსტრაცია ტარდება იმ დღეს, როცა კაპიტალისტური მსოფლიო ომის ხანძარით არის გარემოცული. საბჭოთა ახალგაზრდობას კარგად ახსოვს ეს. აქტიურად მონაწილეობს რა სოციალისტურ მშენებლობაში, იგი თავის რიგებს ამჭიდროებს, რომ დაუღალავი ბრძოლა აწარმოოს მშვიდობიანობისა და სოციალიზმისათვის. ვერავითარი მოუღლელობა ვერ შეისწრებს მათ მოუმზადებლად, იგი ყოველთვის მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში იმყოფება. მან იცის, რომ სსრ კავშირის თვითეული წარმატება საერთაშორისო პროლეტარიატს ახარებს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერი ცხოვრება იდეალია საზღვარგარეთელი ჩვენი კლასობრივი ძმებისათვის.

სტალინური ახალგაზრდობის საღღესასწაულო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 800 ათასზე მეტმა კაცმა. საბჭოთა ახალგაზრდა პატრიოტებმა ახალი ძალით ცხადჰყვეს თავიანთი ერთგულება ბოლშევიკური პარტიის, მშობლიური ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, ამხანაგ სტალინისადმი, ცხადჰყვეს თავიანთი მზადყოფნა მთელი თავისი ძალები შესწირონ კომუნიზმის დიად საქმეს. (საკდესი).

სოციალისტური სამშობლოს პატრიოტების დემონსტრაცია

ლენინგრადი, 6 სექტემბერი (საკდესი). შუადღისას დემონსტრაცია დაიწყო ურიცკის მოედანზე. მოზეიმე ახალგაზრდობამ დროშებითა და ყვავილებით აავსო ფართო მოედანი. ტრიბუნიდან დემონსტრანტებს მიესალმნენ ქალაქის წარჩინებული ადამიანები. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ლენინის ქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და საზოგადებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

დემონსტრანტების კოლონებს სიყვარულით მიაქვთ საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძენი მასწავლებლისა და მეგობრის პორტრეტები. დროშებზე გამოყვანილია სიტყვები: „მეზნებარე სალამი დიდ **სტალინს** საბჭოთა ახალგაზრდობისაგან".

თავიანთ დღესასწაულისათვის ახალგაზრდა ვაჟებმა და ქალებმა ახალი სიჩუქრები უძღვნეს დედასამშობლოს. აი, მოდის ბალტიის ქარხნის ახალგაზრდობის კოლონა. გემთმშენებელი კომკავშირელები წარმატებით იბრძვიან, რათა ვადამდე ჩაბარონ ერთ-ერთი გემი.

მოწაფეებსა და პიონერებს მოაქვთ დიდ მეცნიერთა: მენდელეევის, დარვინის, ტიმირიაზევისა და მიჩურინის წიგნები და პორტრეტები. მათ მაღლა უჭირავთ ტრანსპარანტი—„დაე უფლოთ მეცნიერებათა საფუძვლებს".

რევოლუციის პირველ წლებში დაბადებული ჭაბუკები მიესალმებიან საყოველთაო სამხედრო ვალდებულების ახალ კანონს. ისინი სიხარულით მოელიან წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვევას. მათს პლაკატებზე არის სამშობლოს პატრიოტთა საბრძოლო დევიზი: „ვიმუშაოთ სტახანოვურად, დავცხოთ მტერს ხასანურად".

ახალგაზრდა მუშები, ფიზკულტურელები, წითელარმიელები და წითელფლოტელები, სტუდენტები და მოწაფეები ვალდებულებას კისრულობენ განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა და კიდევ უკეთესად დაეუფლონ სამხედრო საქმეს.

○

ურიცკის მოედანზე გამართულ დემონსტრაციაში 500 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას.

6 სექტემბერს თბილისის მშრომელმა ახალგაზრდობამ ზეიმით აღნიშნა ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღე. სურათზე: დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საომარი მოქმედება გერმანიასა და პოლონეთს შორის

ბერლინი, 6 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დღეს დილით გამოაქვეყნა ოპერატიული ცნობა, სადაც ნათქვამია:

„5 სექტემბერს გერმანიის ჯარის ოპერაციები პოლონეთში გრძელდებოდა დასახული გეგმის თანახმად. მთისა და მობილურმა ჯარმა დაიკავა ჩრდილოეთის გასასვლელი ბესკიტენი (სლოვაკიის საზღვარზე) და ვარმატებით უტევს ნოვი სონჩს.

გერმანიის ჯარმა, რომელიც კრაკოვს სამხრეთითა და დასავლეთით უტევს, უკუაგდო მოწინააღმდეგე ქალაქის მიდამოებისაკენ.

ალმოსავლეთ სილეზიის სამრეწველო რაიონი გერმანიის ჯარმა დაიკავა. ჩრდილოეთით აღებულია რკინიგზის ხაზი ხენცინი—ლოკუშნო—პეტრკუვი. სერაძის რაიონში გარღვეულია სიმაგრეების ხაზი და გერმანიის ჯარის შეტევა გრძელდება ვარტის აღმოსავლეთ ნაპირზე, ლოძის მიმართულებით.

გერმანიის ჯარი, რომელიც კულმისა და გრაუდენცის რაიონში ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდა, მოწინააღმდეგის დევნას განაგრძობს. ჯარმა, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიიდან უტევს, ცეხანოვი აიღო. პოლონეთის ჯარი ამ რაიონში იხევს სამხრეთისაკენ — რზანისაკენ (ვარშავიდან 60 კილომეტრზე). ჩრდილოეთში გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო 10.000 ტყვე და 60 ქვემეხი.

გუშინ გერმანიის ავიაცია განაგრძობდა პოლონეთის სამიმოსვლო გზების ნგრევას. რკინიგზის სადგურები სდუნსკა ვოლია, სკარჟისკო, ტარნუვი და ვჟესნია იწვის.

ბერლინი, 6 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა აიღო საკვანძო რკინიგზის სადგური კელცი.

რიგა, 6 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის რადიო იუწყება, რომ გერმანიისა და პოლონეთის ჯარს შორის მძაფრ ბრძოლა სწარმოებდა. ამ რაიონში პოლონელებმა განსაკუთრებით გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ქალაქი და სიმაგრე გერმანელებმა მხოლოდ მას შემდეგ აიღეს, როცა მრავალ გზის ეკვეთნენ მტერს ხიშტით.

რიგა, 6 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უკანასკნელ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანიის ავიაცია განაგრძობს პოლონეთის ქალაქებისა და სოფლების ბომბარდირებას. პოლონეთის საზენიტო არტილერიამ მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

სამხრეთ - დასავლეთ ფრონტზე პოლონეთის ჯარი იგერიებს მოწინააღმდეგის შეტევას. გაფთრებული ბრძოლაა ვარტა—შჩერცუვ—კმანას ხაზზე.

პოლონეთის კორიდორში მომწყვდეულმა პოლონეთის ჯარმა იერიში მიიტანა დანციგის მიმართულებით და ხელთ იგდო 12 ტყვე, 3 მძიმე ტყვიამფრქვევი და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

პოლონეთის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა გერმანიის ჯარის მექანიზებულ ნაწილებს, რომელნიც ცეხანოვისა და რადომსკოსაკენ მიემართებოდნენ.

ჰელსინკი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს პოლონეთის გენერალური შტაბის უკანასკნელ ოპერატიულ ცნობას. უკანასკნელი ცნობების თანახმად, შეუპოვარი ბრძოლაა ვარშავიდან 50 კილომეტრის მანძილზე პლონსკისა და ცეხანოვის რაიონში. პოლონეთის ჯარი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს მტერს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მას რიცხობრივად.

დღეს ვარშავას ყუმბარები დაუშინეს დილის 6 საათსა და 9 საათზე.

პოლონეთის მთავრობა და პოლონეთის დეპეშათა სააგენტო ვარშავიდან ლიუბლინს გადავიდა.

დანიის ნეიტრალიტეტის დარღვევა

ბერლინი, 6 სექტემბერი (საკდესი). იუწყებიან, რომ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუნკმა მიიღო გერმანიის ელჩი დანიაში და აცნობა მას, რომ 4 სექტემბერს 17 საათზე ერთმა ყუმბარმშენმა დანიის ნავსადგურ ესბიერგის თავზე გადაიარა და ორი ყუმბარა ჩამოაგდო, რის შედეგადაც ერთი სახლი დაინგრა. გამორკვეული არ არის თუ რა ეროვნებას ეკუთვნოდა თვითმფრინავი. ყუმბარის ნამსხვრევები გამოკვლეული იქნება. გერმანიის ელჩმა გააცხადა, რომ ეს თვითმფრინავი არ შეიძლება გერმანიისა ყოფილიყო, რამდენადაც გერმანიის საჰაერო ფლოტმა მიიღო ჰიტლერის ბრძანება არ გადალახონ ნეიტრალური სახელმწიფოების ტერიტორია. გერმანიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს ინგლისის ყუმბარმშენი იყო.

გერმანიის ჯარმა დაიკავა კრაკოვი

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის სააგენტო ტრანსოცეანი იუწყება, ბერლინში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის თანახმად, დღეს შუადღისას გერმანიის ჯარი კრაკოვში შევიდა. ხიდები მდინარე ვისლაზე აფეთქებული არ იყო.

14 საათზე გერმანიის ჯარმა გადალახა ლასკ-უნეიუვის გზა და განაგრძობს წინსვლას ლოძის მიმართულებით (ლასკი 33 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ლოძიდან).

თვითმფრინავები ჰამბურგის თავზე

რიგა, 6 სექტემბერი (საკდესი). ბერლინიდან იუწყებიან, რომ დღეს ჰამბურგზე 4 მზვერავი თვითმფრინავი გამოჩნდა. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

გერმანიის გემების ინტერნირება მექსიკაში

რიგა, 6 სექტემბერი (საკდესი). მექსიკიდან მიღებული ცნობის თანახმად, მექსიკის ნავსადგურ ვერა კრუცში გუშინ ინტერნირებულ იქნა გერმანიის ტრანსატლანტური გემი „კოლუმბუსი“. ამ ნავსადგურში ინტერნირებულია გერმანიის 9 გემი.

ავსტრიის ბომბარდირება

ბრიუსელი, 6 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „სუარის“ ცნობით, 5 სექტემბერს დილით ქალაქმა ავსტრიამ საჰაერო თავდასხმა განიცადა. საგანგაშო საყვირის ხმა, მხოლოდ შემდეგ ყუმბარების გასკდომის ხმა ბელგიის საზღვარზე ისმოდა.

გერმანიის გემების კონფისკაცია ბრიტანეთის ინდოეთში

ჰელსინკი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო სიმლიდან იუწყება (ინდოეთი), რომ გამოცემულია ბრძანება გერმანიის ყველა იმ გემის კონფისკაციის შესახებ, რომლებიც ბრიტანეთის ინდოეთში იმყოფება.

საფრანგეთის კომუნიკე

პარიზი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება შემდეგ ოფიციალურ № 5 კომუნიკეს: „6 სექტემბერი, დილა. გუშინ საღამოს და ღამით განხორციელებულია წინსვლა ზოგიერთ ადგილებში“.

საფრანგეთის კომუნიკეების შესახებ

ბრიუსელი, 6 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო, ეხება რა საფრანგეთის კომუნიკეებს საომარი მოქმედების შესახებ, პარიზ დან იუწყება: „რამდენადაც აქ ვიცით, დასავლეთ ფრონტზე არავითარი ბრძოლა არ მომხდარა. არ არსებობს არავითარი მითითება იმაზე, რომ არტილერიამ და ქვეითმა ჯარმა სროლა ასტეხა.

ვიცით მხოლოდ, რომ ჯერჯერობით საქმე ეხება მხოლოდდამხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის ჯარის წინასწარ მანევრებსა და მოძრაობას, რომელიც დაიწყო დასავლეთის ფრონტზე 10 კილომეტრიან ზონაში საზღვრის ორივე მხრიდან ჯარებმა გამაგრებულ ხაზებს შუა სანგრების დაკავება დაიწყეს. აქამდე წარმოებული მოქმედება სამეთვალყურეო ოპერაციებით განისაზღვრა“.

საუკანგეთის ჯარების მოძრაობა

პარიზი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს მე-4 ნომერ კომუნიკეს საფრანგეთის ჯარების მოძრაობის შესახებ. 5 სექტემბერს საღამოს,—ნათქვამია კომუნიკეში,—„ჩვენი ჯარი ყველგან ჩვენი საზღვრის გამოსავალ ხაზზე იმყოფება რეინსა და მოზელს შორის. საჭიროა მოვიგონოთ, რომ მუდმივი საფორტიფიკაციო ნაგებობანი რეინზე რეინის ორივე ნაპირს მიჰყვება“.

პოლონეთის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბერლინს

პარიზი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს ვარშავიდან მიღებულ ცნობას, რომლის თანახმად პოლონეთის 30 თვითმფრინავი თავს დაესხა ბერლინს. ყველა თვითმფრინავი დაბრუნდა თავის ბაზაში.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს კომუნიკე

პარიზი, 6 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს კომუნიკეს, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა ცეცხლგამჩენი ყუმბარები დააყარეს ვარშავას: იწვის ერთი ჭარხანა და 4 სახლი; დაზიანდა ტრამვაის დეპო.

გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოგდებულია.

ვარშავის ევაკუაცია

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოსცემს: „ვარშავიდან მიღებულია ცნობა პოლონეთის გენერალური შტაბის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეს შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „სავსებით დამთავრებულია ვარშავიდან ცენტრალურ დაწესებულებათა, დაჭრილ ჯარისკაცთა და პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ევაკუაცია“.

ამერიკის ელჩი ვარშავიდან გაემგზავრა

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ვარშავიდან იუწყება, რომ ამერიკის ელჩმა პოლონეთში ვარშავა დასტოვა. საელჩოში რჩებიან მდივანი ჰარისონი და სამხედრო ატაშე.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). დღეს ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისის თვითმფრინავების თავდასხმა გერმანიის სამხედრო გემებზე, რომლებიც გერმანის საზღვაო ბაზებში იმყოფებოდნენ, უფრო წარმატებითი იყო, ვიდრე ამის შესახებ თავდაპირველად ვიუწყებოდით.

გერმანიის 3 გემი ჩაძირულია ატლანტის ოკეანეში ამ გემების ეკიპაჟის გადმოსხმის შემდეგ.

ინგლისის რამდენიმე სავაჭრო გემის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ან ჩაძირეს ისინი. ინგლისის სამხედრო გემებმა იერიში მიიტანეს გერმანიის წყალქვეშა ნავებზე რამდენიმე პუნქტში“.

საქართველოს შეასრულა თივის აღების გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკამ თივის აღების გეგმა 103,3 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 130 ათასი ჰექტარის ნაცვლად აღებულია 134.334 ჰექტარი თივა.

თივის აღება გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით დაამთავრეს: ხაშურის რაიონმა გეგმის—182,7 პროც., თბილისისა—143,1 პროც., თიანეთისამ—134.5 პროც., ბოგდანოვკისამ—171 პროც. და სხვ.

იმ რაიონებთან ერთად, რომლებსაც გეგმები გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ გასულია თივის აღების ყველა ვადა, დღემდის ჯერ კიდევ ბოლომდე გეგმის შესრულებიდან. ასე. აჭარის ასს რესპუბლიკას გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ—29 პროც., ახალციხის რაიონს—58 პროც., დუშეთისას—63,3 პროც., ყაზბეგისას—65,6 პროც.

სამარცხვინოთ ჩამორჩა თივის აღებაში აფხაზეთი. რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 1,2 პროც.

სრულიად-საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე

გზადება 1940 წლისათვის

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექცია ამჟამად 1940 წლისათვის ემზადება რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგზავნება სოფლის მეურნეობის 200-მდე სპეციალისტი და ფოტომუშაკი, რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ ორგანიზაციებს გამოფენის მონაწილეთა შერჩევასა და მუშაობის საუკეთესო ნიმუშების ფოტოჩვენების ორგანიზაციაში.

გადაწყვეტილია 1940 წლის გამოფენაზე ნაჩვენები იქნას არა მარტო ცალკეულ მეურნეობათა — კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მიღწევანი, არამედ რაიონებისაც მთლიანად. თვითეულ მხარესა და ოლქში გამოყოფილი იქნება ორი-სამი მოწინავე რაიონი—გამოფენის კანდიდატი.

1940 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მცდელობას, თესლბრუნვათა შემოღების თეორიისა და პრაქტიკის, მეცხოველეობისა და უხმიწიან რაიონებში დასახლებულ კოლმეურნეთა საქმიანობის ჩვენებას.

ექსპონატების შერჩევა დამთავრებულ უნდა იქნას მემცენარეობის ხაზით 1939 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო მეცხოველეობის ხაზით—1940 წლის 1 იანვრამდე. (საკდესი).

მეცხოველეობის სპეციალისტები

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თავიანთი წარმატებებით გვაოცებენ სოციალისტური მეცხოველეობის სტახანოველები. ამ სახელოვან ადამიანებს მთელი ქვეყანა იცნობს, მრავალი მათგანი კი უკვე ცნობილია მსოფლიო ლიტერატურაშიც.

გამოფენამ ათასობით გვიჩვენა ასეთი მოწინავე მეცხოველეობის ყველა დარგში. და მეტად ძნელია გამოვყოთ მათგან ყველაზე უფრო გამოჩენილი, ვინაიდან თვითეული სტახანოველი თავისებურად სახელოვანია. თუ ვილაპარაკებთ ლუბოვიცისა და რამენსკის სტახანოველებზე, რომელთა შორის ფართოდ ცნობილია ისეთი სახელები, როგორიც არიან: ე. დ. ნარტოვა, ნ. ა. ბელოვა, მ. ა. კოტოვა, ა. ა. კულეშოვა, არ შეიძლება ამასთანავე არ მოვიხსენიოთ, მაგალითად, მწველელი ფ. ა. სტრელნიკოვა, რომელიც შორეულ ყირგიზეთში მუშაობს და რომელმაც საშუალოდ 6.931 კილოგრამი რძე მიიღო თავის ძროხებისაგან. ხოლო როდესაც სტრელნიკოვაზე ვილაპარაკებთ, ნებაუნებურად გვინდა დავასახელოთ აგრეთვე ვათხინა, კუჩერენკო, პერსიანცევა, მარკინა, რილსკაია და ასობით სხვა შესანიშნავი მწველელი.

შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი მოწინავენი, რომლებითაც ამაყობს ჩვენი მეცხენეობა, მაგალითად, ვ. ტ. ხალნოვი ხრენოვსკის მე-10 ცხენსაშენის უფროსი მეცხენე. იგი არა მარტო გამოჩენილი საწარმოო მუშაკია, არამედ სერიოზული მოაზროვნეც, რომელიც იცავს იმ დებულებას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ზრუნვას ნამატისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მუცელში იმყოფება.

ცოტა მწყემსი, მწველელი, მეჯიხნიე და მენახირე როდია, რომელიც ღირსნი არიან იმისა, რომ მათი მიღწევების შესახებ იწერებოდეს.

სტახანოვურმა პრაქტიკამ მთავარი როლი მიაკუთვნა მშრომელს, მშრომელზეა დამოკიდებული გაზარდოს და გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. ეს აზრი მშვენივრად გამოსთქვა ჩვენმა ცნობილმა მწველელმა ქალმა ე. დ. ნარტოვამ. მან განაცხადა: „სწორი არ არის მტკიცება, თითქოს ძროხას რძე ენაზე აქვს, ეს რძე მწველელის თითებშიც არის“.

მეცხოველეობის სტახანოველები არაჩვეულებრივ სიყვარულს, ყურადღებიან დაკვირვებას და ცხოველების ინდივიდუალური თავისებურების ცოდნას იჩენენ. მათ მშვენივრად ესმით ცხოველებისა. თუ ამ თვისებებს ჩვენ კიდევ დავუმატებთ იმ ცოდნას, რაც სტახანოველებს ზოოტექნიკურმა მეცნიერებამ მისცა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რად ხდება, რომ ეს ადამიანები არა თუ პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ, არამედ რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უდიდეს მასალასაც იძლევიან მეცხოველეობის შესახებ მეცნიერების გადახალისებისათვის.

ჩვენი სამეცნიერო და საცდელი დაწესებულებები ფეხდაფეხ მიდიან სტახანოველებთან ერთად, სწორედ იმ ახალ მეცნიერებას შეჰქმნიან, რომელიც საჭიროა ჩვენთვის, რომელსაც ამხანაგი სტალინი მოწინავე მეცნიერებას უწოდებს.

ყოველივე ამას გვასწავლის გამოფენა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელი ცოცხალი ძალების მობილიზაციას ახდენს.

აკადემიკოსი ე. ფ. ლისკუნი

გალის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

გალის რაიონმა 5 სექტემბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 3.160.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.128.000 კილოგრამისა.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ხაჭ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი პ. თოდუა

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. ძეცბაია

ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობამ 2 სექტემბერს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, — ნაცვლად 718.000 კილოგრამისა მოჭკრიფა 718.883 კილოგრამი. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისა 89 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 69 პროცენტისა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი კისრულობს წელს გეგმის გადამეტებით მოჭკრიფოს 867 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი.

აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. ტოხოძე

ჩაის ფოთლის დამზადება

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

„საჭაის“ 5 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	ჩაის მწვანე ფოთლის კრეფვის წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია სულ სრული დასწორებით ტონობით	წლიური გეგმის სრულებით პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება ტონობით
ბათუმი	1.705	1.452.3	85,2	4,7
ქობულეთი	7.848,6	6.688,7	85,2	13,2
გალი	3.128	3.102,6	99,2	15,7
ოჩამჩირე	1.793	1.621,2	90,4	11,2
სოხუმი	14	13.4	95,7	5
გუდაუთი	16	26,3	164,4	5
მახარაძე	10.011	8.811,1	88	9,3
ჩოხატაური	1.253	1.188	94,8	1,3
ლანჩხუთი	3.350	2.963,2	88,5	10,6
სამტრედია	261	261	100	12,4
წულუკიძე	1.151	1.115,5	96,9	6,6
ქუთაისი	317	336,3	106,1	7,6
ტყიბული	510	418	82	5,3
ცხაკაია	929	965,6	103,9	7,8
გეგეჭკორი	2.626	2.109,4	80,3	7,2
ზუგდიდი	4.881,4	4.696	96,2	3,4
წალენჯიხა	1.618	1.471,3	90,9	7,7
ჩხოროწყუ	1.302	1.246,6	95,7	9,8
ხობი	386	352,6	91,3	8,4
სულ	**48.100**	**38.839,1**	**80,1**	**9,2**

ქუთაისის რაიონში ნაჩვენებ 336,3 ტონა ფოთოლში შედის წყალტუბოს რაიონის 201,3 ტონა.

ცნობა სალიბაურის (ბათუმის რაიონი) ჩაის ფაბრიკაზე მოცემულია 1 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით.

სექტემბრის პირველ ხუთდღიურში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადდა 507,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

საბჭოთა კონტროლის კომისიაში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ გამოარკვია, რომ უკრაინის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის ას რესპუბლიკებში, ყირიმის ასს რესპუბლიკაში და როსტოვის ოლქში მარცვლეული კულტურების მოსავლის წარმატებით აღებასთან ერთად ორგანიკების მხარეს, სტალინგრადის, კუიბიშევის, პენზის და გორკის ოლქებმა და თათრეთის ასს რესპუბლიკამ საგრძნობლად გააჯანსაღეს პურეულის აღება.

მთელი რიგი აღმოსავლეთის მხარეები და ოლქები (ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქები) მკვეთრად ჩამორჩებიან კომბაინით პურის აღების გეგმის შესრულების მხრივ. კომბაინით პურის აღების გეგმა აქ 1½-2-ჯერ ნაკლებად სრულდება, ვიდრე პურის მკის საერთო გეგმა. კომბაინები ხშირად სცდება იმის გამო, რომ მათ ცუდ ტექნიკურ მომსახურებას უწევენ მიხედვად და რემონტის ხარისხიც დაბალია; ეს იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის მიწსახკომმა („გლავზერნოს“ სასოფლო - სამეურნეო მანქანათა ექსპლოატაციის სექტორის გამგე ამხ. დმიტროვი) არ უზრუნველჰყო მტს-ებში ავტომობილით გადასატანი სახელოსნოების დროული დაკომპლექტება და გადაგზავნა, რათა მომსახურება გაეწიათ კომბაინებისათვის მინდვრად.

მრავალ რაიონში სამეწარმოო-მეურნეო ორგანოებს კოლმეურნეობებში არ მოუწყვიათ უბრალო მანქანებით მომკილი პურის დროულად გალეწვა და აზვინვა. განსაკუთრებით ჩამორჩა სტალინგრადის ოლქი, სადაც აგვისტოს პირველ ნახევარში მომკილი პურის მხოლოდ 8 პროცენტი გაილეწა.

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში დიდძალი პური მინდვრად დევს თავმოყრილი პირდაპირ ცისქვეშ და გაფუჭების საფრთხეშია.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ წინადადება მისცა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ბენედიქტოვს სასწრაფო ზომები მიიღოს სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკის და ომსკის ოლქებში, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში კომბაინებით პურის აღების ჩამორჩენის აღსაკვეთად, პურის თავის დროზე გასალეწად და კალოებიდან მის გამოსაზიდავად, აღმოსავლეთის ოლქებში სალეწი მანქანების, მათი ძრავების და მარცვალსახმობთა რემონტის დაუყოვნებლივ დამთავრების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ ცნობად მიიღო სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვასინის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი სასწრაფოდ ჰგზავნის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მუშაკებსა და სპეციალისტებს აღმოსავლეთ ოლქებში, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ მტს-ებს და სამი წათმოქმედო ორგანოებს მოსავლიანებაში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. სისოევისა და სტალინგრადის საოლქო მიწგანის უფროსის ამხ. კალაბერდინის განცხადება იმის შესახებ, რომ თავიანთი მხრივ ისინი საჭირო ზომებს მიიღებენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორდეს მდგომარეობა პურეულის აღებისა და გალეწვის დარგში.

პურის აღების ცუდს ხელმძღვანელობაში, მოსავლის ასაღები მანქანების არასაკმაო გამოყენებაში და პურის დაუდევრად შენახვაში დამნაშავე პირთ სასჯელი დაედოთ.

○

საბჭოთა კონტროლის კომისიამ განიხილა აგრეთვე 1939 წლის მოსავლის პურის დამზადების მიმდინარეობის საკითხი.

საბჭოთა კავშირში პურის დამზადება წელს უფრო მეტი წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ პურის დამზადება, შარშანდელთან შედარებით, ჩამორჩება ორჯონიკიძის მხარეში, კუიბიშევის, ჩკალოვის, ტამბოვისა და ტულის ოლქებში. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კოლმეურნეობების მიერ სესხის გატუმრება და მტს-ების მიერ შესრულებული მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ხაზით პურის შემოსვლა ბელორუსიის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში, კრასნოდარის მხარესა და ორიოლის ოლქში. ძალიან ცუდად ასრულებენ მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმას ერთპიროვნული მეურნეობები.

ყირიმის ასს რესპუბლიკის, ნიკოლაევის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ვორონეჟისა და სხვა ოლქების ზოგიერთ დამამზადებელ პუნქტში პურის მიღების ცუდი ორგანიზაციის გამო მრავალი შემთხვევა იყო, რომ დააგვიანეს საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობისგან პურის მიღება და ურიგო უთხრეს მათ პურის მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიულად აკრძალულია დამზადებული პურის გროვად შენახვა, ნიკოლაევის ოლქის დამამზადებელ პუნქტებში აგვისტოში გროვად ეყარა 5 ათასამდე ტონა, სტალინოს ოლქში — 14 ათასზე მეტი ტონა მარცვლეული. „იუგზაგოტზერნოს“ უფროსმა ამხ. კრიეოშევმა იმის ნაცვლად, რომ გამომეძღვანებინა და გადაეჭრით აღეკვეთა პურის შენახვის ასეთი დანაშაულებრივი პრაქტიკა, მითითება დაუგზავნა „ზაგოტზერნოს“ საოლქო კანტორებს გროვად შენახული მარცვლეულად ბუ პარკებით შეფუთვაზე დრო ებით, ტრანსპორტის მარცვლეულით უზრუნველყოფის შესახებ. დამამზადებელ პუნქტებს ეს შეუსრულებლად დარჩა.

„ზაგოტზერნოს“ ვორონეჟის საოლქო კანტორის მმართველმა ამხ. შახოვმა მთელ რიგ დამამზადებელ პუნქტებში დაუშვა ჯიშიანი თესლის შერევა, მარცვლეულის დიდრონი პარტიების ჩახურება, დაავადებული მარცვლის ჯანსაღ მარცვალთან ერთად დასაწყობება და პურის გროვად შენახვა. სტალინის ოლქის კუტეინიკოვოს ელევატორის დირექტორი ამხ. ლევჩენკო დანამაულებრივად მოეკიდა მარცვლეულის შენახვას, მან პირდაპირ მიწაზე დაჰყარა გროვად 4 ათასი ტონა პური, არაფერით არ გადაუხურავს იგი, რის შედეგადაც დაახლოებით 10 ტონა მარცვალი გაფუჭდა.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ დაავალა დამზადებათა სახალხო კომისარიატს (სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სუბოტინს) გამოიკვლიოს ჯიშიანი მარცვლეულის შერევის, პურის გაფუჭებისა და მისი გროვად უკანონოდ შენახვის სხვა მსგავსი შემთხვევები, აგრეთვე თვითეული შემთხვევა იმისა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უარი უთხრეს პურის მიღებაზე ან დააგვიანეს მათგან პურის მიღება, და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ წინადადება მისცა დამზადებათა სახალხო კომისარიატს (ამხ. სუბოტინს) მოისმინოს სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე დამზადებათა სახალხო კომისარიატის ორჯონიკიძის მხარის, კუიბიშევის, ჩკალოვის, ტამბოვისა და ტულის ოლქების რწმუნებულთა მოხსენებები და დასახოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღიკვეთოს ამ ოლქების ჩამორჩენილობა პურის დამზადების გეგმის შესრულებაში და განსაკუთრებით ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებაში. წინადადება არის მიცემული აგრეთვე უახლოეს დღეებში უზრუნველყოფილ იქნას მარცვალსაშრობთა მშენებლობისა და რემონტის დამთავრება ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე მარცვლასაცავთა რემონტისა და დეზინფექციის დამთავრება პავლოდარის, ჩრდილოეთი ყაზახეთისა და ომსკის ოლქებში, ხაბაროვსკისა და პრიმორიეს მხარეებში.

იმ პირთ, რომელთაც სერიოზული ნაკლოვანებანი დაუშვეს დამზადებათა საქმეში, საბჭოთა კონტროლის კომისიამ სასჯელი დაადო. (საკდესი).

წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის წინ

წითელ არმიაში გაწვევას მომზადებული ვხვდებით

წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადებაში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე ჩამორჩებოდა. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა გვქონდა თავდაცვის ნიშნებზე ნორმების ჩაბარებაში. ნორმები „მზთ“ ნიშანზე წევრვამდელთა მხრივ მხოლოდ 30 პროცენტს ჰქონდა ჩაბარებული, „მსთ“ ნიშანზე — 36,9 პროცენტს, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნიშანზე—34,7 პროცენტს, ხოლო ვოროშილოვისებური მსროლელის ნიშანზე—23,4 პროცენტს. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ გაწვევისათვის მზადებაში ზოგიერთმა ორგანიზაციამ მუშაობა დაგვიანებით დაიწყო. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ გასაწვევი ახალგაზრდობის უმრავლესობა მოწაფეობა იყო, რომელიც იქლისში უკვე დაშქაშოლი აღმოჩნდა.

მაგრამ ეს მდგომარეობა სავსებით შეიცვალა ხაჭ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისა და თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობის, მათი ყოველდღიური დახმარების მეოხებით.

დღემდე ჩატარებული გვაქვს წევრვამდელთა 4 კონფერენცია, 1 რაიონული კრება, 48 პოლიტსაუბარი, წევრვამდელთა 2 საღამო და 8 ლიტერატურული საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

გასაწვევი პუნქტი, რომელიც მოთავსებულია კიროვის სახელობის ბაღში, მორთულია ლამაზად გაფორმებული პლაკატებითა და შაბაშაროსანი ლოზუნგებით. პუნქტთან არსებობს სამკითხველო, რომელიც მომარაგებულია ჟურნალ-გაზეთებითა და პოლიტიკური, სამხედრო და მხატვრული ლიტერატურით. მოწყობილია ფიზკულტურის, რემედასის, წითელი ჯვრის, თავდაცვა-ავიაქიმის და ჯანმრთელობის განყოფილების კუთხე. აქ მოვლენ და გაეცნობიან წევრვამდელები ახალ ამბებს, აქ გაუწიარებენ ისინი ერთმანეთს თავიანთი სიხარულსა და აღფრთოვანებას წითელ არმიაში გაწვევის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ წითელ არმიაში წელს გასაწვევი ნაკადი გამოირჩევა თავისი ორგანიზებულობით, ც

პარტიული ცხოვრება

საოლქო კომიტეტმა განიხილა ლექციის შინაარსი

(ბათუმი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

ამ თვალსაზრისით საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე საკითხი ჯერ არ განუხილავთ; ისე პროპაგანდაზე საერთოდ ბევრი ითქვა, დადგენილებებიც საკმაო რაოდენობით დაიწერა პროპაგანდისტული მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ლექციის შინაარსი უშუალოდ საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ამიტომაც მეტად საინტერესო იყო ამ საკითხის განხილვა ბიუროზე. როგორც წესი, ახალი ყოველთვის არაჩვეულებრივ ყურადღებას იმსახურებს. საკითხის ახლებურად დაყენება, პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობის ახალი ფორმების გამოძებნა — ეს ხომ ყოველი პარტიული მუშაკის მისწრაფებაა.

ვიდრე საკითხს უშუალოდ ბიუროზე მოისმენდნენ, საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჯიბლაძე, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და მუშაკები, ლექტორთა ჯგუფის წევრები პირადად დაესწრნენ ამხ. ციცხვაიას და გოსტევის ლექციებს. ამხ. ციცხვაიას ლექციის თემა იყო „პარტიის ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის“. ხოლო ამხ. გოსტევმა ლექცია წაიკითხა მატერიალისტური დიალექტიკის კანონების შესახებ. პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები გულდასმით უსმენდნენ ზემოაღნიშნულ ლექციებს, იწერდნენ შენიშვნებს.

ბიუროსათვის საკითხის მომზადება, წაკითხული ლექციების ყოველმხრივი განხილვა საოლქო კომიტეტის მუშაკებს ამხ. პეტიბსკისა და მაქაცარიას დაევალათ.

ყველაფერი მზად იყო. საკითხი ბიუროზე განსახილველ. გაიმართა მეტად საინტერესო მსჯელობა. დაწყებული საოლქო კომიტეტის მდივნით და გათავებული საოლქო კომიტეტის მუშაკებით, ყველა სერიოზულად იხილავდა თეორიის საკითხებს. კამათი ამხანაგურ, ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ვუსმენდით ბიუროს ამ სხდომაზე ამხანაგების გამოსვლას და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებოდით იმაში, თუ როგორ გაიზარდნენ მუშაკები, თუ რა დიდია მათი მისწრაფება თეორიის შესწავლისადმი. რწმენა გემატება, არასოდეს არ გინდა მოისმინო წუწუნი იმის შესახებ, თითქოს ხელმძღვანელ მუშაკებს არ რჩებათ დრო თეორიის დაუფლებისათვის.

რაზე მიუთითებდნენ, რაზე ამახვილებდნენ ლექტორების ყურადღებას, რას უწუნებდნენ წაკითხული ლექციებიდან და რას მოითხოვდნენ?

ამხ. ციცხვაიამ ლექცია ვერ ააგო ისე, როგორც საჭიროა. მოხსენება ძლიერ გაუგრძელდა, საკითხებიც ვერ ამოსწურა. ლექციის შესავალ ნაწილს ხანგრძლივი დრო მოანდომა, ხოლო ისეთ საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილება, მკრთალად ილაპარაკა. ლექტორმა ვერ შესძლო აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა, მიზიდვა, ლაპარაკობდა მონოტონურად. ბუნებრივია, რომ ასეთი ლექციის მოსმენა მოსაბეზრებელი გახდა და აუდიტორიაც თანდათან ცარიელდებოდა; ლექტორი დამაჯერებლად ვერ ლაპარაკობდა, ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თვითონ ლექტორიც არ იყო დარწმუნებული წამოყენებულ დებულების სისწორეში.

ცნობილია, რომ ნათლად ის გამოსთქვამს, ვინც ნათლად აზროვნობს. არ ჰქონდა რა საკითხი კარგად დამუშავებული, ამხ. ციცხვაია ამა თუ იმ დებულების გამოსათქმელად შესაფერის ტერმინებს ვერ სძებნიდა, ერთი სიტყვით უჭირდა მისი მკაფიოდ გამოთქმა. ხშირად არასწორად გამოსთქვამდა ამა თუ იმ საგნის, მოვლენის სახელწოდებას. მაგალითად, მთელს თავის მოხსენებაში ის „დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის“ მაგივრად ხმარობდა ასეთ გამოთქმას: „კოლმეურნეთა დამკვრელი ყრილობა“. დაუშვა არაზუსტი განმარტებები, შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი ვერ გასცა.

შედარებით უკეთესი შეფასება მიიღო საოლქო კომიტეტის ბიუროზე ამხ. გოსტევის ლექციამ. მაგრამ ცალკეულ ნაკლოვანებებზე ამხ. გოსტევსაც მიუთითებდნენ. როგორც საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ აღნიშნა, ამხ. გოსტევმა დიალექტიკის ზოგიერთი დებულება გააუბრალოვა, დიალექტიკის ამათუმან კანონის საილუსტრაციოდ შეუსაბამო მაგალითები მოჰყავდა. წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონის ნათელსაყოფად მან სხვათა შორის ასეთი მაგალითიც მოიყვანა: პარტია ითხოვს თვითეული წევრისაგან შეისწავლოს თეორია, მაგრამ ზოგიერთი არ სწავლობს. აი ხედავთ დიალექტიკა, წინააღმდეგობათა ერთიანობის ბრძოლა! ასეთი „აღმოჩენა“ შესთავაზა ამხ. გოსტევმა თავის მსმენელებს.

აღინიშნა აგრეთვე სხვა შეუსაბამობანიც. რატომ მოუვიდა ამხ. გოსტევს ცალკეული შეცდომები? იმიტომ, რომ ამხ. გოსტევი ძლიერ ენდობა თავის-თავს. როგორც ამხ. გოსტევმა განაცხადა, დიალექტიკის საილუსტრაციოდ ეს მაგალითები მან რომელიღაც პროფესორისაგან გაიგო, მაგრამ თავი არ შეიწუხა კრიტიკულად განეხილა ეს მაგალითები.

როგორც სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ლექციის შინაარსის ყოველმხრივი განხილვა ბიუროზე მათთვის დიდი სკოლაა. ეს დაეხმარება არა მარტო იმ ამხანაგებს, რომლებმაც უშუალოდ ლექცია წაიკითხეს, არამედ სხვებსაც. და ეს სწორიცაა. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არა მარტო უნდა სთხოვდეს ლექტორს, არამედ უნდა ასწაელდეს კიდეც, მიუთითებდეს ნაკლოვანებებზე. ამისათვის კი საჭიროა თვით პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი სწავლობდეს, ეუფლებოდეს თეორიას, რომ მართლაც შესძლოს საქმიანი შენიშვნის მიცემა ლექტორისათვის.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა შევიგნოთ, რომ ახლა მთავარია ლექციის ხარისხი. ლექტორი არ უნდა იქნეს დაშვებული ლექციაზე, თუ მას საკითხი ღრმად და ყოველმხრივ მომზადებული არა აქვს. ამ მხრივ უსათუოდ მისაბაძია საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიერ გადადგმული ნაბიჯი.

დასასრულ, საოლქო კომიტეტის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი აჭარაში ლექციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კ. აქბარდია

თბილისი. მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. სურათზე: სადგურ თბილისის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. ვ. ტაბატაძე ატარებს თათბირს თათბირს აგიტატორებთან, რომლებიც გამოყოფილი არიან მოსახლეობაში სამუშაოდ. ფოტო ი. ბუდემტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო მუშაობა

ორჯონიკიძის რაიონში (თბილისი) ფართოდ გაიშალა მზადება საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის. რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების უმრავლესობა სანიმუშოდ აწყობს მოსამზადებელ მუშაობას, როგორც საწარმო-დაწესებულებებში, ისე არაორგანიზებულ მოსახლეობაში.

1 სექტემბერს პარტკაბინეტის დარბაზში ჩატარდა პარტბიუროს მდივნების და პარტორგების რაიონული თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის ამხ. შ. ჯაფარიძის მოხსენება საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობაზე. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

— 12 აგიტატორიდან, — ამბობს ამხ. ცერცვაძე (ლენინორის ჭარხანა), — რომელიც პარტორგანიზაციამ გამოჰყო 25 აგვისტოს, 10 მუშაობს უბნებში, ხოლო 2 ჭარხანაში, აგიტატორები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

— ჩვენ, — ამბობს ამხ. კაპანაძე (მესაქონლეობის საკვლევო ინსტიტუტი),—14 აგიტატორი გვყავს, რომელთა უმრავლესობას უკვე სამი და მეტი მეცადინეობა აქვს ჩატარებული. უბნებში აგიტატორთა მუშაობას ხელს უშლის სამეცადინო ბინის უქონლობა, ერთი ოთახი, რომელიც მე-15 სკოლაშია გამოყოფილი, საკმაო არ არის.

— არჩევნების დებულების გამოსვლისთანავე, — მოუთხრობს თათბირს ამხ. სკულპტინა (საქკვებმშენის საალმშენებლო სამონტაჟო კანტორა), — მოვაწყეთ მისი კითხვა და განმარტება, გამოვუშვით სპეციალური კედლის გაზეთი, მოვაწყეთ აგიტატორის კუთხე, სადაც გამოფენილია ლიტერატურა და სხვა მასალები აგიტატორების დასახმარებლად. ამჟამად შედგენილი გვაქვს დიასახლისების სია, რომლებთანაც მეცადინეობა უნდა ვაწარმოოთ.

ამხ. მახნიაშვილმა (ვეტერინარული ინსტიტუტი) გააკრიტიკა ორჯონიკიძის რაისაბჭოს მუშაობა. — რაიონულ საბჭოს, — ამბობს იგი,— დღემდე არ შეუმოწმებია, რა მუშაობა ტარდება უბნებში. რაისაბჭო ნაკლებად ზრუნავს მოსახლეობაში აგიტმასობრივი მუშაობის გაშლაზე.

ამხ. შავიშვილი (რაისაბჭო) აღნიშნავს, რომ აგიტატორებმა უკვე 23 აგვისტოდან დაიწყეს დიასახლისებთან მეცადინეობის ჩატარება.— ჩვენ, ამბობს ის, — არ ვკმაყოფილდებით წრეებში მარტო არჩევნების დებულების შესწავლით, დებულებასთან ერთად ვატარებთ საუბრებს საერთაშორისო საკითხებზე და სხვ., რომლებიც მოსახლეობას ძალიან აინტერესებს. მიმზიდველად ატარებს მეცადინეობას აგიტატორი ლორთქიფანიძე. განზრახული გვაქვს მოვაწყოთ დიასახლისთა ექსკურსიები ისტორიული სტალინური ადგილების დასათვალიერებლად.

თათბირზე აგრეთვე გამოირკვა, რომ რაიონის ზოგიერთი პარტორგანიზაცია, ჯერ კიდევ არ აწარმოებს სათანადო მოსამზადებელ მუშაობას მომავალი არჩევნებისათვის. მაგალითად, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ცენტრალური არქივის და სხვა პარტორგანიზაციები საორგანიზაციო მუშაობას არ გასცილებიან.

თათბირზე ამხანაგებს მიეცათ მითითება, რათა კიდევ უფრო გაშალონ საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უბნებში აგიტაციის გაშლას, ბოლშევიკურად მოაწყონ დეპუტატთა ანგარიშები. ხოლო ამ მუშაობაში მაქსიმალურად გამოიყენონ კომკავშირის და პროფკავშირის აქტივი.

ვ. ხეველიძე

აგიტაფორები გულმოდგინე მუშაობენ

ლესიჭინის (ჩხოროწყუს რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციამ თავის დროზე შეარჩია გამოცდილი აგიტატორები საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მუშაობის გასაშლელად. მეურნეობაში გამოყოფილია 17 აგიტატორი, რომლებიც სისტემატიურად ატარებენ საუბრებს ბრიგადებსა და საცხოვრებელ ბინებში საქ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებების, მე-18 პარტყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების, სტალინური კონსტიტუციის ღრმად შესწავლის მიზნით. სააგიტაციო მუშაობა კარგად დააყენეს აგიტატორებმა: კუზმა ნიკიტინმა, ვარლამ ქარჩავამ, გიორგი ხარებავამ და სხვ.

მომავალი არჩევნების მოახლოებამ უდიდესი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია საბჭოთა მეურნეობის მუშებში. მაგალითად, ძარია ლარიონოვა გეგმით გათვალისწინებული 7 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად ჰკრეფს 30-35 კილოგრამ ჩაის მწვანეს ფოთოლს. არჩევნების დღისათვის ლედა-სამშობლოს ძვირფას საჩუქრებს უმზადებენ სპ. დგებუაძე, ნ. პუსტოვალოვა, დ. ნიკიტინა და სხვ.

კ. დგებუაძე

სააგიტაციო მუშაობა კარგადაა დაყენებული

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა თავის დროზე დაიწყეს მუშაობა არჩევნების დებულების საფუძველიანად შესწავლისათვის. ქარხანაში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი 63 წრე. მათ მუშაობა 25 აგვისტოდან დაიწყეს.

ჩატარებულმა მეცადინეობამ ნათელჰყო, რომ აგიტატორები სერიოზულად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. მსმენელები კარგად ითვისებენ არჩევნების დებულებას. მეცადინეობაზე დაუსწრებლობის შემთხვევებს ადგილი არა აქვს.

სააგიტაციო მუშაობის სანიმუშოდ დაყენებით გამოერჩევიან აგიტატორები ი. იმერლიშვილი, გ. მხაკაძანოვი და სოსელია.

ლ. გვარამაძე

ფართოდ გაიშალა მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

ხარაგოული, (საქდესი). ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოული) რაიონში გაცხოველებით ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

არჩევნების დებულების მოსახლეობისათვის ახსნა-განმარტების მიზნით გამოყოფილია 319 აგიტატორი და შექმნილია 19 აგიტკოლექტივი; მოსახლეობა დიდი ინტერესით უკვე შეუდგა არჩევნების დებულების შესწავლას.

სააგიტაციო მუშაობა სამაგალითოდ გაიშალა ლეღვნის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში. აქ აგიტატორები ვერა შარიქაძე, გიორგი მაღრაძე, შუშანა ვეფხვაძე და სხვ. სისტემატურად და მაღალხარისხოვნად ატარებენ აგიტაციას.

ასევე კარგად მუშაობენ აგიტატორები: ალექსანდრე და თამარა ბუაჩიძეები (ფარცხნაღლის სასოფლო საბჭო), ქეთო მაჭავარიანი, ნიკოლოზ წერეთელი და გიორგი ჭყოიძე (კიცხის სასოფლო საბჭო).

საარჩევნო უბნებისა და ოლქების შექმნა უკვე დაიწყო. ადგენენ და აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს.

ამჟამად მიმდინარეობს დეპუტატების მიერ ამომრჩეველებისადმი ანგარიშის ჩაბარება. ანგარიშებს ბარებენ აგრეთვე საბჭოს თავმჯდომარეები—საბჭოს პლენუმებს და სადეპუტატო ჯგუფების თავმჯდომარეები—სადეპუტატო ჯგუფებს. ხარაგოულის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მიხეილ მაღრაძემ უკვე ჩაბარა ანგარიში საბჭოს პლენუმს. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს საბჭოს განვლილი მუშაობა და მთელი ოდი წინადადებანი წამოაყენეს საბჭოს მუშაობის შემდგომი გარდაქმნისათვის.

ყვარელი, (საქდესი). ყვარლის რაიონში აგიტატორები და მესაუბრე წამკითხველები უკვე შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების განმარტებას. აგიტატორშა ალექსანდრე ზახაშვილმა დღემდე 6-ჯერ ჩაატარა ყვარლის კოლმეურნეობაში საუბარი. იგი არა მარტო დებულებას უნმარტავს კოლმეურნეობებს, არამედ ესაუბრება, თუ როგორ ემზადებიან მოსკოვსა და თბილისში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ესაუბრება საერთაშორისო საკითხებზე. ასევე კარგად მუშაობენ აგიტატორები ეროსესაშვილი (სოფ. ენისელი), ბეგაშვილი (ახალსოფელი), ხუტელაშვილი (ყვარელი) და სხვ.

რაიაღმასკომმა უკვე დაიწყო რაიონის საარჩევნო უბნებათ და ოლქებად დაყოფა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტება.

პარტიის რაიკომის პარტკაბინეტში შექმნილი კონსულტანტთა ჯგუფი, სისტემატურ დახმარებას უწევს აგიტატორებს კონსულტაციებით და ლიტერატურით.

საარჩევნო უბნებში ემზადებიან არჩევნებისათვის

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან).

ახლად შექმნილი საჩხერის რაიონი უკვე შეუდგა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას.

ჩატარდა კოლმეურნეობათა და სოფლსაბჭოების თავმჯდომარეების თათბირი პარტორგებთან ერთად. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ბიწაძემ. 18 აგვისტოს რაიკომის ბიურომ რაიაქტივიდან ადგილებზე მიამაგრა 23 ამხანაგი, რომლებმაც ჩაატარეს აგიტატორთა თათბირები დებულების შესწავლის შესახებ.

დღემდე რაიონში ჩამოყალიბებულია 40 აგიტპუნქტი, სადაც 200 აგიტატორი მუშაობს.

კარგად მუშაობენ ხვანის (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი—ამხ. გ. ტაბატაძე), ცხომარეთის (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი — ამხ. კალ. კაციტაძე), საჩხერის (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი — ამხ. დ. გოგსაძე) და კორბოულის (აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი— ზ. მაჭარაშვილი) სოფლსაბჭოები.

მოწინავე აგიტატორებია საჩხერის სადაბო საბჭოს ამხ. მიქიაიანის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. ნინო ძინძიბაძე, მარო ჩარკვიანი, ხ. ცოციაშვილი, ი. თეთრუაშვილი, მერჯანეის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. ს. კაპანაძე, ვ. წერეთელი, ივ. კაპანაძე, ხვანის სოფლსაბჭოში ამხ. გრ. შუბითიძე, ცხომარეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. ვალ. კოპაშვილი და პ. გაგავა.

საჩხერის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულად ემზადებიან არჩევნების უნაკლოდ ჩატარებისათვის.

დ. ფანჩულიძე

აგიტაფორთა მოსამზადებელი კურსები მახარაძეში

მახარაძე, (საქდესი). მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით მახარაძის პარტრაიკომმა მოაწყო 10 დღიანი კურსები აგიტატორთა მოსამზადებლად. კურსებზე მეცადინეობს 40 კაცი, რომელნიც არჩევნების დებულებასა და სტალინური კონსტიტუციას სწავლობენ. მეცადინეობა დაიწყო პირველი სექტემბრიდან.

სანიმუშოდ მოვემზადოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

გ. გოჩაშვილი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის, სტალინის რაიკომის მდივანი.

ახლოვდება ის დღე, როცა საქართველოს სსრ მშრომელები მიეცემენ საარჩევნო ყუთებთან და აირჩევენ მშრომელთა ადგილობრივ საბჭოებში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებს, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არა აქვს ისეთი საარჩევნო კანონი, როგორიც ეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშია. ბურჟუაზია მშრომელთა მასას ართმევს საარჩევნო უფლებას.

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული. რასაც უზრუნველჰყოფს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება, რომელიც დაამტკიცა საქ. სსრ უმაღლესმა საბჭომ, მთლიანად დაფუძნებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე.

ადგილობრივ საბჭოებში არჩევნები უფრო რთული იქნება, ვიდრე წინა არჩევნები. ეს გარემოება პატიული ორგანიზაციების წინაშე აყენებს მეტად დიდ ამოცანებს.

ჩვენს რაიონში არჩევნებისათვის მზადება დაიწყო სააგიტაციო მუშაობის გამოცოცხლებით. მასში ახალი, უპარტიო აქტივის ჩაბმით; ცხადია, რომ არჩევნების წარმატებით ჩატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფთ თვითეული ამომრჩევლისათვის საარჩევნო დებულების გაცნობას, მოსახლეობაში ბოლშევიკური აგიტაციის დაყენებას. ამ მიზნით 15 აგვისტოს ჩავატარეთ პარტბიუროებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელზედაც ვისაუბრეთ, თუ როგორ არის გაშლილი სამრეწველო - დაწესებულებებში მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. შემდეგ ამავე საკითხზე მოვიწვიეთ აგიტატორებისა და სახლთმმართველების თათბირი.

რაიონში ბოლშევიკური აგიტაციის გამოცოცხლება დაიწყო ამ უკანასკნელ პერიოდში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ, მაგალითად, თუ 20 აგვისტოსათვის რაიონში გვყავდა 534 აგიტატორი, დღეს მათი რიცხვი უდრის 700-ს. აგიტატორებმა გულმოდგინედ დაიწყეს არჩევნების დებულების ახსნა-განმარტება მოსახლეობაში. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს პარტბიურომ გამოჰყო 60 აგიტატორი, რომლებიც ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს მუშებსა და მოსამსახურეებში, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, განმარტავენ არჩევნების დებულებას, რასაც უკავშირებენ სტალინურ კონსტიტუციას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალებს.

რაიონში არიან ისეთი აგიტატორები, რომლებსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ასეთები არიან, პაგალითად, ჯაფარიძე, წივილაშვილი, მაჭარაძე, ულიხანოვი, ქარაძე და სხვ. ინჟ. ჯაფარიძე მუშაობს მთავარ მექანიკოსად კალინინის სახელობის ქარხანაში. წინა არჩევნების დროს ის მუშაობდა აგიტატორად, რაშიაც დიდ წარმატებებს მიაღწია. პარტიულმა ორგანიზაციამ მაშინ ამხ. ჯაფარიძე, როგორც ენერგიული მუშაკი, მიიღო საკ. კ. პ. (ბ) გიული მუშაკი, მიიღო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად. მის შემდეგ ამხ. ჯაფარიძეს მუშაობა არ შეუწყვეტია, დღეს ის სისტემატურად ატარებს საუბრებს, გაზეთების ხმამაღალ კითხვას, აწყობს თავის მუშაობის დღიურს, მის საუბრებს ყოველთვის დიდის ინტერესით ისმენენ.

ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ყოველდღიურად ვიზრუნოთ აგიტატორების თეორიული დონის ამაღლებაზე, მათს პოლიტიკურ მომზადებაზე. რაიონში ჩამოყალიბდა აგიტატორთა 12-დღიანი კურსები 120 კაცისათვის, აგიტატორები კურსებზე მეცადინეობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; ისინი აქ შეისწავლიან სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, არჩევნების დებულებას და მეთოდიკას. აგიტატორებისადმი დახმარება ამით არ უნდა ამოიწუროდეს. აგიტკოლექტივების მუშაობის სწორად დაყენება, ლექციები და კონსულტაციები, საუბრები, გამოცდილების გაზიარება დიდად დაეხმარება აგიტატორებს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სააგიტაციო მუშაობას რაიონში ჯერ კიდევ ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები; არის ცალკეული ფაქტები, როცა პარტორგანიზაციის მდივნები თვითონ არ სწავლობენ დებულებას არჩევნების შესახებ. აღებასტრ-თაბაშირის ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ხოჯაევს თავი არ შეუწუხებია იმისათვის, რომ დებულება შეესწავლა. ჩვენ უნდა მოვთხოვოთ უეიაეთ კომუნისტს და პირველ რიგში პარტორგანიზაციის მდივნებს გულმოდგინედ შეისწავლონ დებულება, ვინაიდან ამის გარეშე შეუძლებელია უხელმძღვანელო არჩევნებს. ზოგიერთი აგიტატორი, თავისი მომზადების დონის მიხედვით, საუბრის ხარისხის მიხედვით, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მსმენელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. რათა ჩაატარო საუბარი გასაგებად, მომზიდველად, საჭიროა წინასწარ ემზადებოდე მისთვის. უნდა გჭონდეს მოფიქრებულად შედგენილი კონსპექტი, ჩანაწერები, თვალსაჩინო ხელსაწყოები — რუკები, დიაგრამები. საბოლოოდ, ყველა აგიტატორი როდი აკეთებს ამას. არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან არჩევნებისათვის აგრეთვე კედლის გაზეთები და ნაბეჭდი გაზეთები. ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება, ერთი სიტყვით, აქაც საჭიროა სააგიტაციო მუშაობის იმგვარად დაყენება, რომ ჩვენი რაიონის თვითეულმა ამომრჩეველმა იცოდეს დებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“, იცოდეს დებულების თვითეული პუნქტი. აქ საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ ის მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც მივიღეთ სსრკ და საქართველოს სსრ უაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

მომავალ არჩევნებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ სამუშაოებს. მათი შეუფასებლობა, საერთოდ ორგანიზაციული საკითხების უგულებელყოფა უცხოა ბოლშევიზმისათვის. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ მომავალი არჩევნები თავის ორგანიზაციულ - ტექნიკური აგებულებით უფრო რთული იქნება, ვიდრე წინანდელი არჩევნები. გაცილებით დიდდება საარჩევნო ოლქებისა და უბნების რაოდენობა, მაშასადამე, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობაც მეტი იქნება. თუ წინა არჩევნების დროს ჩვენს რაიონში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობას იღებდა 482 კაცი, ახლანდელ არჩევნებში მათი რიცხვი მიაღწევს 2134-ს. ეს გარემოება მოითხოვს დიდ მუშაობას. კომისიებში უნდა შევარჩიოთ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, რომლებსაც შესწევთ უნარი წარმატებით უხელმძღვანელონ ამ დიდ საქმეს. ჩვენ უკვე შევარჩიეთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მდივნები. დასასრულს უახლოვდება კომისიების წევრთა შერჩევაც.

რაიონის დაყოფა ოლქებად და უბნებად მთლიანად დამთავრებულია, შედგენილია რუკა, ზუსტად არის განსაზღვრული თვითეული ოლქისა და უბნის საზღვრები. ის საარჩევნო უბნები, რომლებიც მოქმედებდნენ წინა არჩევნების დროს, ძირითადად შენარჩუნებულია. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბინებიც შერჩეულია.

იმ საკითხებს შორის, რომლებიც ეკუთვნის საქმის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს, არსებითი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა სიების შედგენას. ამომრჩეველთა სიები უნდა იყოს ზუსტი, არცერთი ამომრჩეველი არ უნდა იქნეს გამოტოვებული, არცერთი ამომრჩეველის გვარი, სახელი და სხვ. არ უნდა იქნეს დამახინჯებული. ამ მუშაობის ჩასატარებლად აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი 300 აღმწერი. ბევრი მათგანი მუშაობდა როგორც წინა არჩევნების, ისე მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერის დროს.

მომავალ არჩევნებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ სამუშაოებს. მათი შეუფასებლობა, საერთოდ ორგანიზაციული საკითხების უგულებელყოფა უცხოა ბოლშევიზმისათვის. არ უნდა დავგვიწყდეს, რომ მომავალი არჩევნები თავის ორგანიზაციულ - ტექნიკური აგებულებით უფრო რთული იქნება, ვიდრე წინანდელი არჩევნები. გაცილებით დიდდება საარჩევნო ოლქებისა და უბნების რაოდენობა, მაშასადამე, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობაც მეტი იქნება. თუ წინა არჩევნების დროს ჩვენს რაიონში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობას იღებდა 482 კაცი, ახლანდელ არჩევნებში მათი რიცხვი მიაღწევს 2134-ს. ეს გარემოება მოითხოვს დიდ მუშაობას. კომისიებში უნდა შევარჩიოთ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, რომლებსაც შესწევთ უნარი წარმატებით უხელმძღვანელონ ამ დიდ საქმეს. ჩვენ უკვე შევარჩიეთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მდივნები. დასასრულს უახლოვდება კომისიების წევრთა შერჩევაც.

რაიონის დაყოფა ოლქებად და უბნებად მთლიანად დამთავრებულია, შედგენილია რუკა, ზუსტად არის განსაზღვრული თვითეული

სანიტარულ ექიმთა სრულიად-საკავშირო ყრილობა

ნოემბერში სსრ კავშირის ჯანსახკომი აპირებს სანიტარულ ექიმთა და ჰიგიენის ექიმთა პირველი სრულიად-საკავშირო ყრილობის მოწვევას.

11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რსფსრ ჯანსახკომმა მოიწვია სანიტარულ ექიმთა ყრილობა ლენინგრადში. ამ ხნის განმავლობაში, ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე, საბჭოების ქვეყანამ — სსრ კავშირმა სრულიად იცვალა სახე. აღმოცენდნენ ინდუსტრიის ახალი გიგანტები, სოციალისტური მრეწველობის ახალი დარგები, შეიქმნენ და განვითარდნენ ახალი სოციალისტური ქალაქები, ჩატარდა ძველი ქალაქების რეკონსტრუქცია; გაიშალა გრანდიოზული საბინაო და საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მარტო მესამე ხუთწლედის განმავლობაში ექსპლოატაციაში გადაცემული იქნება 35 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. უდიდესი მუშაობა სწარმოებს ქალაქების კეთილმოწყობისათვის, ქალაქებსა და დაბებში შენდება წყალსადენი და კანალიზაცია, აგრეთვე გასაწმენდი ნაგებობანი ყველა დიდ ფაბრიკასთან, ქარხანასთან და საწარმოსთან.

სანიტარულ ექიმთა ეს ყრილობა შეიკრიბება მესამე სტალინური ხუთწლედის დასაწყისში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია, მიღებული საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო, გვისახავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ პროგრამას და ითვალისწინ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՂԱՐՎԵՍՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀՐԱՏԱՐԱԿՉՈՒԹՅՈՒՆ

ՀՀՊՀԲ-ՈՄՀՄՈՆ, 6 նոյեմբերի (նոյեմբեր) 1987 թ. № 1-ին ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստում ընդունված ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության կանոնակարգի 24 հոդվածի 6-րդ կետի համաձայն ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստերի օրակարգերի նախագծերը հրապարակվում են ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստերի օրակարգերի նախագծերի հրապարակման կարգի համաձայն։

ՀՀ ԳԵՐԱԳՈՒՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀՈՒԹՅԱՆ ՆԻՍՏԵՐԻ ՕՐԱԿԱՐԳԵՐԻ ՆԱԽԱԳԾԵՐԸ

ՀՀՊՀԲ-ՈՄՀՄՈՆ, 6 նոյեմբերի (նոյեմբեր) 1987 թ. № 1-ին ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստում ընդունված ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության կանոնակարգի 24 հոդվածի 6-րդ կետի համաձայն ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստերի օրակարգերի նախագծերը հրապարակվում են ՀՀ Գերագույն խորհրդի նախագահության նիստերի օրակարգերի նախագծերի հրապարակման կարգի համաձայն։